სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

თარიღი: 23 დეკემბერი, 2021
სხდომის დაწყების დრო: 18:30 საათი
ადგილმდებარეობა: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. 11.

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: **დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მარიამ კუბლაშვილი, როინ მიგრიაული, ზვიად კორძაძე, ტარიელ კაკაბაძე, ია გაბედავა, ინგა სეხნიაშვილი; დისტანციურ რეჟიმში (Zoom პლატფორმის გამოყენებით) მონაწილე წევრი: თორნიკე ბაქრაძე .**

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) ზურა მამაიაშვილის, მარიამი ამბროლაძის, ნინო ნოზაძის, გიგა კვანჭიანის, ქეთევან სოფრომაძის, ქეთევან ჩალაგაშვილის, თამარ სანიკიძის და ბაკურ ჩიქოვანის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს**

ზურა მამაიაშვილის, მარიამი ამბროლაძის, ნინო ნოზაძის, გიგა კვანჭიანის, ქეთევან სოფრომაძის, ქეთევან ჩალაგაშვილის, თამარ სანიკიძის და ბაკურ ჩიქოვანის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე

(ბ) თეონა მეზვრიშვილის და თეონა ხვადაგიანის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყეს 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, „პროფესიული ადაპტაციის პროგრამის“ დებულების 15.2. მუხლის შესაბამისად, ადაპტაციის პროგრამის გავლის ვალდებულება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ანდა დარეგისტრირდნენ ადვოკატის სტაჟიორად კანონით დადგენილი წესით 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თეონა მეზვრიშვილის და თეონა ხვადაგიანის განცხადებები ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.**

(გ) მარალ გუსეინოვას განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ მ/წლის 25 ნოემბერს, აღმასრულებელმა საბჭომ ცნობად მიიღო 2021 წლის 03 სექტემბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ მარალ გუსეინოვას მიმართ მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც მ. გუსეინოვას სარჩელი დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 2 დეკემბრის N 267 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილება მარალ გუსეინოვას ასოციაციაში გაწევრიანებაზე უარის თქმის ნაწილში და ასოციაციას დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემა მარალ გუსეინოვას ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარალ გუსეინოვას განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ ნინო ურთმელიძის, მირანდა კილასონიას და ნანა ლარცულიანის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

განსხვავებული მოსაზრება დააფიქსირა ზვიად კორძაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში საწევრო დავალიანების მქონე პირისთვის წევრობის შეწყვეტის შემდეგ, ასოციაციაში კვლავ გაწევრიანების სურვილის შემთხვევაში, მასზე უნდა გავრცელდეს გაწევრიანებისთვის „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი საერთო წესი. შესაბამისად, იგი თვლის, რომ აღნიშნული საკითხი დასარეგულირებელია და მას ამ ეტაპზე მიზანშეწონილად მიაჩნია ხმის მიცემისგან თავის შეკავება.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე 7 - დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მარიამ კუბლაშვილი, როინ მიგრიაული, ტარიელ კაკაბაძე, ია გაბედავა, ინგა სეხნიაშვილი, თორნიკე ბაქრაძე; თავი შეიკავა 1 - ზვიად კორძაძე), მიღებული იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ნინო ურთმელიძის, მირანდა კილასონიას და ნანა ლარცულიანის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. დავით ჯინჭარაძის განცხადების განხილვა წევრობის აღდგენის შესახებ.

წევრები გაეცნენ დავით ჯინჭარაძის განცხადებას წევრობის აღდგენის შესახებ. მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ 2011 წლის 14 ივლისს აღმასრულებელმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, ასოციაციის წესდების მე-15 მუხლის, 15.1.პუნქტის, „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ეთიკის კომისიის 2011 წლის 7 მარტის #057/10 გადაწყვეტილების (დავით ჯინჭარაძის (სიითი #3276) მიმართ საადვოკატო საქმიანობის უფლების განხორციელების 18 თვის ვადით ჩამოერთვის თაობაზე) აღსრულების თაობაზე.

წევრებმა განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტით წევრობის შეჩერების შემთხვევაში, წევრობის აღდგენა დარეგულირებულია ამავე კანონის 21^2 მუხლის, მე-3 პუნქტით დადგენილი წესით. შესაბამისად, რადგან გასულია აღნიშნული წესით დადგენილი ვადა, დავით

ჯინჭარაძის განცხადება აღმასრულებელმა საბჭოს უნდა მიიღოს ცნობად და მას აღუდგეს ასოციაციის წევრობა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დავით ჯინჭარაძეს (სიითი #3276) მიღებულ იქნა ცნობად.

საკითხი 4. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, 1-ელი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად მარალ გუსეინოვას, თეონა ხვადაგიანის, თეონა გუგეშაშვილის, ანა მაისურაძის, ეკატერინე ქანთარიას, მანანა შავშიშვილის, გვანცა დავითაშვილის, ნიკოლოზ ბერიკაშვილის, მელანია მარგარიანის, თეა ედიშერაშვილის, ვაჟა ყელეურიძის, თამილა ხაჯიშვილის, ანა ჯალაბაძის, გიორგი ჯიქიას, სოფიკო გოგუაძის, თეა ციცხვაიას, ბელა ჭყონიას, თამუნა ქათამაძის, ნათია დიღმელაშვილის, თეა ებრალიძის, ლელა გოგოლაძის, ნათია რეხვიაშვილის, ბექა ბურჭულაძის, ელენე კავთუაშვილის, გრიგოლ გოგალაძის, იოსებ ლაფანაშვილის, მარიამ მაისურაძის, დავით კვიციანის, თამარ ბოჭორიშვილის, სანათა ჩანგელიას, თეონა ტაბატაძის, ლევან ენდელაძის, მიხეილ ზერეკიძის, თეონა ქარჩავას, დავით დევიძის, თამთა წირქვაძის, ლევან ბაბულაიძის, ანა კუჭუხიძის, სოფიო პაპასქირის, და შორენა ცქიფურიშვილის განცხადებებს წევრობის შეჩერების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2021 წლის საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა, წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21^3 მუხლის 1-ელი პუნქტის, "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: "საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21^3 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა" ქვეპუნქტის (პირადი განცხადების

საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა, წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^3 მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ" ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა".

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზემოაღნიშნულ განმცხადებელთა მოთხოვნები წევრობის შეჩერების თაობაზე. ამასთან, 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირებს - მანანა შავშიშვილს, თეონა გუგეშაშვილს და ელენე კავთუაშვილს ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე ეცნობოთ იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

საკითხი 5. 2021 წლის საწევრო დავალიანების გადახდის ვადების თაობაზე საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ 2021 წლის 17 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, 2021 წლის 18 მაისიდან დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის, მე-3 პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვრა 2021 წლის 18 ივნისი, ხოლო 2021 წლის 18 ივნისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, საწევრო დავალიანების გადახდის ვადა გაგრძელდა დამატებით 14 კალენდარული დღით - 2021 წლის 2 ივლისამდე. 2021 წლის 01 ივლისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, საწევრო დავალიანების გადახდის ვადა გაგრძელდა დამატებით კიდევ 14 კალენდარული დღით - 2021 წლის 16 ივლისამდე, ხოლო 2021 წლის 16 ივლისის აღმასრულებელი საბჭოს

გადაწყვეტილებით, საწევრო დავალიანების გადახდის ვადა გაგრძელდა დამატებით 16 კალენდარული დღით - 2021 წლის 2 აგვისტომდე.

მ/წლის 02 აგვისტოს აღმასრულებლი საბჭოს გადაწყვეტილებით, არ იქნა გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დავალიანების მქონე პირთა წევრობის შეწყვეტის თაობაზე და 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე 550 წევრს გადაუვადდა აღნიშნული დავალიანების გადახდის ვადა მ/წლის 20 დეკემბრამდე.

ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან დღემდე, საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატების ინფორმირება ინტენსიურად ხორციელდებოდა: საწევრო დავალიანების მქონე წევრთა სია გამოქვეყნდა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ამასთან, შესაბამის წევრებს ადმინისტრაციული წარმოების თაობაზე არაერთხელ გაეგზავნათ მოკლე ტექსტური შეტყობინებები ასოციაციისთვის ცნობილ საკონტაქტო ტელეფონის ნომრებზე. მიუხედავად ასოციაციის მხრიდან გატარებული ღონისძიებებისა, 2021 წლის 23 დეკემბრის მდგომარეობით საწევრო დავალიანების მქონე წევრთა რაოდენობა შეადგენს 429 ადვოკატს.

თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა წინადადება, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა გადაიდოს შემდგომი სხდომისთვის, რომელზეც განახლდება მსჯელობა როგორც 2021 წლის საწევრო დავალიანების, ასევე, 2022 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ადმინსტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. განსხვავებული მოსზრება არ გამოთქმულა. **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: 2021 წლის საწევრო დავალიანების გადახდის ვადების თაობაზე საკითხის განხილვა გადაიდოს აღმასრულებელი საბჭოს მომდევნო სხდომისთვის.**

საკითხი 6. პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ ბექა ხიტირის, გულო დილავერიძის, ზაქრო გვიშიანის, გიორგი ბერიძის, ბაბილინა მეიფარიანის, მაგული გოგოლაძის, მეგი ბაკურიძის, დავით ხარატიშვილის, დიანა ლაზიშვილის, გიორგი სიბაშვილის და მერი კოპალეიშვილის განცხადებებს, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის

სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად ბექა ხიტირის, გულო დილავერიძის, ზაქრო გვიშიანის, გიორგი ბერიძის, ბაბილინა მეიფარიანის, მაგული გოგოლაძის, მეგი ბაკურიძის, დავით ხარატიშვილის, დიანა ლაზიშვილის, გიორგი სიბაშვილის და მერი კოპალეიშვილის კანდიდატურები. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 7. საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ძველი მოწმობის მოქმედების დამატებითი ვადის განსაზღვრა.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ 2018 წლის 7 დეკემბერს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად ახალი დიზაინის საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობის დამტკიცების თაობაზე, დღევანდელი მდგომარეობით, ასოციაციის მოქმედი სტატუსის მქონე წევრთა დიდმა უმრავლესობამ შეცვალა ძველი მოწმობა, თუმცა დარჩა წევრების მცირე რაოდენობა, რომლებიც ამჟამად მომართავენ ასოციაციას მოწმობის შეცვლის მოთხოვნით.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2021 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ძველი მოწმობის მოქმედების ვადა გაგრძელდა 2022 წლის 1 - ელ იანვრამდე. დღევანდელი მდგომარეობით, ასოციაციის მიმართ მოწმობის შეცვლის მოთხოვნით მომართვიანობა რაოდენობრივად შემცირებულია, მაგრამ კვლავ მიმდინარეობს. მნიშვნელოვანია, რომ განახლებული და ვალიდური მოწმობა ჰქონდეს ყველა მოქმედ ადვოკატს, რათა ისინი პროფესიული საქმიანობის პროცესში არ შეფერხდნენ. ამდენად, მიზანშეწონილია, საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ძველი მოწმობის მოქმედების ვადა დამატებით გაგრძელდეს 2022 წლის 1-ელ მარტამდე.

წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა. **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:**

1. **საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ძველი მოწმობის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2022 წლის 1-ელ მარტამდე. მანამდე კი ძალაში იქნება მოწმობის ორივე ნიმუში;**
2. **აღნიშნულის თაობაზე ეცნობოთ ადვოკატთა ასოციაციის იმ წევრებს, რომელთაც არ აქვთ გამოცვლილი ძველი მოწმობები.**
3. **აღნიშნულის შესახებ წერილობით ეცნობოთ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურას.**

საკითხი 8. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 2021 წლის 07 ოქტომბერს ნია ჭავჭანიძის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობა.

წევრები გაეცნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 2021 წლის 07 ოქტომბერს ნია ჭავჭანიძის მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად მისი სარჩელი დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი 2021 წლის 4, 5, 9, 10, 11 და 12 მარტს ჩატარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შემოსული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის 2021 წლის 7 აპრილის #1 სხდომის ოქმი იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ნია ჭავჭანიძის მოთხოვნა ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების # 41, #43 და #67 კითხვებზე ქულის მომატების შესახებ და ასოციაციას დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემა ნია ჭავჭანიძისთვის ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების #41, #43 და #67 ტესტებში 3 (სამი) ქულის მომატების თაობაზე. ასევე, ასოციაციას დაეკისრა ნია ჭავჭანიძის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის 100 (ასი) ლარის ანაზღაურება.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: (ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 07 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მიღებულ იქნას ცნობად და გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ნია ჭავჭანიძეს ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების #41, #43 და #67 კითხვებზე მოემატოს 3 (სამი) ქულა. (ბ) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 07 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, ნია ჭავჭანიძეს აუნაზღაურდეს მის მიერ გადახდილი

სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარის ოდენობით.

საკითხი 9. სხვადასხვა

(ა) ზურაბ ვანიშვილის განცხადების გაცნობა.

წევრები გაეცნენ ზურაბ ვანიშვილის მ/წლის 17 დეკემბრის განცხადებას, რომლითაც იგი ითხოვდა 2021 წლის 14 ნოემბერს და 2021 წლის 04-11 დეკემბერს საერთო კრებების მოწვევის, მათზე გადაწყვეტილებების მიღებისა და არჩევნების ჩატარების კანონიერების შემოწმების მიზნით, ასოციაციაში დროებითი კომისიის შექმნას.

წევრებმა განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი და ასოციაციის წესდება, მსგავსი უფლებამოსილებისა და მიზნების მქონე კომისიის შექმნას არ ითვალისწინებს. ასოციაციის წესდების მე-16[1] მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, „ასოციაციაში იქნება მუდმივმოქმედი კომიტეტები სამართლის დარგების მიხედვით, სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მიზნით და დროებითი კომისიები იურიდიულ პროფესიაში არსებული პრობლემატური საკითხების ირგვლივ.“

ამასთან, წევრებმა განაცხადეს, რომ იმ ფონზე, როდესაც ზურაბ ვანიშვილის სარჩელის საფუძველზე, აღნიშნულ საკითხზე თბილისის საქალაქო სასამართლოში უკვე მიმდინარეობს სასამართლო წარმოება, არარელევანტურია იმავე საკითხზე მუშაობის მიზნით ასოციაციის ფარგლებში კომისიის შექმნის თაობაზე მსჯელობა.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს ზურაბ ვანიშვილის 2021 წლის 17 დეკემბრის განცხადება 2021 წლის 14 ნოემბერს და 2021 წლის 04-11 დეკემბერს საერთო კრებების მოწვევის, მათზე გადაწყვეტილებების მიღებისა და არჩევნების ჩატარების კანონიერების შემოწმების მიზნით, ასოციაციაში დროებითი კომისიის შექმნის შესახებ.

(ბ) ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა.

აღმასრულებელი საბჭოს წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია ასოციაციის წევრის - თემურ ამირანაშვილის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით (წარმოდგენილი იყო გარდაცვალების მოწმობის ასლი). მათ განაცხადეს, რომ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 21[3] მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო

ცნობად იღებს ასოციაციის წევრის გარდაცვალების ფაქტს და შეაქვს შესაბამისი ცვლილება ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ცნობად იქნას მიღებული თემურ ამირანაშვილის (სიითი N 6291) გარდაცვალების ფაქტი და იგი ამოღებულ იქნას ასოციაციის წევრთა ერთიანი სიიდან.

(გ) კოკი კობახიძის განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ კოკი კობახიძის განცხადებას, რომელშიც იგი ითხოვდა 2021 წლის საწევრო დავალიანების გადახდის გადავადებას მის მიერ წევრობის აღდგენამდე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ მ/წლის 5 მარტს აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, კოკი კობახიძეს პირადი განცხადების საფუძველზე, 2021 წლის საწევრო დავალიანებით შეუჩერდა წევრობა. მას ეცნობა და განემარტა მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. ასევე, იგი ინფორმირებული იყო 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირთა მიმართ 2021 წლის 18 მაისიდან დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, აღმასრულებელი საბჭოს მიერ აღნიშნული დავალიანების გადახდის არაერთხელ გადავადების თაობაზე.

წევრებმა განაცხადეს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე კონკრეტული მოთხოვნის განხილვა შესაბამისი სამართლებრივი ნორმებით არ რეგულირდება, აღმასრულებელი საბჭო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ყველა ინდივიდუალურ განცხადებას განიხილავს ერთიანი სტანდარტით და მაქსიმალურად ითვალისწინებს განცხადებაში მითითებულ გარემოებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველა განმცხადებლის მიმართ თანაბრად სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება.

შესაბამისად, სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს კოკი კობახიძის განცხადებაში აღნიშნული მოთხოვნა, მის მიერ წევრობის აღდგენამდე 2021 წლის საწევრო დავალიანების გადახდის გადავადების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს კოკი კობახიძის განცხადება; გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს.

(დ) განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, 2022 წლის სავალდებულო კრედიტ-საათების განსაზღვრა.

აღმასრულებელმა მდივანმა - გიორგი ჭეხანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მომდევნო წლის სავალდებულო კრედიტ-საათების რაოდენობად წარმოდგენილია 10 საათი, რომელიც მოიცავს 2 საათიან სავალდებულო ეთიკის მოდულს, ხოლო 8 საათი იქნება არჩევითი, აქტუალურ თემატიკას მორგებული ტრენინგების სიიდან.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრებები სამომავლოდ ადვოკატთა განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემურ რეფორმასთან დაკავშირებით, მისი საგრძნობლად გაუმჯობესების მიზნით.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ადვოკატთა განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამის ფარგლებში, 2022 წლის სავალდებულო კრედიტ-საათებად განისაზღვროს 10 კრედიტ-საათი (2 საათი ეთიკის მოდული, 8 საათი სხვა ტრინინგ მოდულები).

(ე) პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟიორის მონაწილეთა სიიდან ამოღების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, ადვოკატთა ასოციაციიის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟიორის - ნინო ღვინიაშვილის გარდაცვალების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ნინო ღვინიაშვილის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილეთა სიიდან ამოღების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი
თავმჯდომარე